საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990141548560623

№19/4883

14 / დეკემბერი / 2023 წ.

შპს „გალაქსი ინვესტი“-ს დირექტორს
ბატონ ლევან დიასამიძეს

(ს/ნ:404449049)

მის.: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. ტაბიძის ქ., 3/5

ელ-ფოსტა: vaho-88@mail.ru

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა ინფორმაცია, ქ.თბილისში, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა № 3-5-ში (ს/კ:01.15.05.074.004.01.674) (ძეგლთა ნუსხაში იდენტიფიცირებულია როგორც - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა № 3/გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა № 5, საცხოვრებელი სახლი) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მიმდინარე უნებართვო სამუშაოებთან დაკავშირებით. თქვენ მიერ განხორციელებული ქმედების გამოსწორებისა და შესრულებული სამუშაოების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნით, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე, გეძლევათ ეს წერილობითი გაფრთხილება, რომლის საფუძველზეც ვალდებული ხართ:

- დაუყოვნებლივ შეაჩეროთ უნებართვო სამუშაოები.
- სამი თვის ვადაში უზრუნველყოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მოპოვება, ან მოიყვანოთ ძეგლი პირვანდელ მდგომარეობაში.
- ნებართვის მოპოვების, ან პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შემთხვევაში, ათი დღის ვადაში უზრუნველყოთ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შესაბამისი ანგარიშის წარდგენა, კერძოდ, განაცხადი და სანებართვო მოწმობა, ან პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების ამსახველი ფოტომასალა.

წინამდებარე გაფრთხილების შეუსრულებლობა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 10 000 ლარით. ამ მუხლით განსაზღვრული დაჯარიმების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამისი ძეგლის მესაკუთრეს (კანონიერ მოსარგებლეს) ყოველ 6 თვეში ეკისრება წინა ჯარიმით განსაზღვრული თანხის სამმაგი ოდენობა.

გაფრთხილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ერთი თვის ვადაში.

მონიტორინგის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლელა ბარამაშვილი